

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N53 საცხოვრებელი სახლის
N63 ბინაზე, მოქალაქე სერგო წიქორიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე სერგო წიქორიძის განცხადება /2010 წლის 24.12 N1699/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N53 საცხოვრებელი სახლის N63 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N53 საცხოვრებელი სახლის N63 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე სერგო წიქორიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N53 საცხოვრებელი სახლის N63 ბინაზე /საერთო ფართობი 46,44 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 26,42 კვ.მ, დამხმარე ფართობი 20,02 კვ.მ./, მოქალაქე სერგო წიქორიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.ანდლულაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე